



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №09

2019 წლის 29 მაისი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაადგინა:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №21 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 04/04/2018წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.133.016256) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების მესამე მუხლს დაემატოს „ნ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) სამსახურის უფლებამოსილებაში არსებულ საკითხებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული რიგი დარღვევების აღმოცენებისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენას.“.

ბ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე